სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center

KA030166192975520

საქართველო, თბილისი 0119; წერეთლის გამზ. N 121; ტელ.: (+995) 591 123 123

N 121, Tsereteli ave, Tbilisi 0119, Georgia; Tel.: (+995) 591 123 123

№ 12/1843 **15 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერის № 674 დადგენილების მე-17 დანართის „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტით განსაზღვრული სერვისების მიწოდებას მთელი ქვეყნის მასშტაბით (სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდება - გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა). ასევე ცენტრის მიერ, ხორციელდება საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის მზაობის, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის პროგრამული კომპონენტი.

დღეის მდგომარეობით ცენტრი ყოველდღიურად ემსახურება საქართველოს მოსახლეობას 316 სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა (საკურორტო სეზონის პერიოდში რაოდენობა იზრდება 9 ბრიგადით) და 14 რეფერალური დახმარების ბრიგადების მეშვეობით.

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელსაც გააჩნია რამოდენიმე წლიანი ინტენსიური ექსპლუატაცია, ხშირად გამოდის მწყობრიდან, საჭიროებს ჩანაცვლებას.
სერვისის სრულფასოვნად და ხარისხიანად მიწოდების მიზნით, მიზანშეწონილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სპეციალიზირებული ბრიგადებისთვის, შესაბამისი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის ოპერატიულად და ხარისხიანად მიწოდების მიზნით, ცენტრს ესაჭიროება 50 ერთეული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალება და 30 ერთეული მაღალი გამავლობის რეანიმობილი.

აქვე გაცნობებთ, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდების ოპერატიულობის გაზრდის მიზნით, მაღალპრიორიტეტულ შემთხვევებზე სწრაფი რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყნის დიდ ქალაქებში საგზაო საცობების პირობებში, საკურორტო ზონებსა თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ცენტრი ოპერირებდეს სპეციალიზირებული სამედიცინო მოტოციკლის ტიპის სატრანსპორტო საშუალებით. ამჟამად შესაბამისი ლოკაციების დაფარვის მიზნით საჭიროა 50 ერთეული სპეცილიზირებული მოტოციკლის ტიპის სამედცინო ტრანსპორტი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების დისპეტჩერიზაცია ხორციელდება სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ცენტრალური სადისპეტჩეროს მეშვეობით. დისპეტჩერსა და სამედიცინო ბრიგადას შორის კომუნიკაცია ამჟამად ხორციელდება მობილური ტელეფონის საშუალებით, შესაბამისად მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს კავშირის ისეთი საშუალება, როგორიც არის ტეტრას რაციის სისტემა. ტეტრას სისტემის კავშირის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დისპეტჩერსა და სამედიცინო ბრიგადას შორის კომუნიკაციას და მეტად ეფექტურს გახდის სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდებას. აღსანიშნავია, რომ ტეტრას სისტემის მეშვეობით

შესაძლებელია ცენტრალური სადისპეტჩეროდან მოხდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო ბრიგადებთან ეფექტური და ხარისხიანი კავშირი. ზემოთ აღნიშნული სისტემის დანერგვის მიზნით, საჭიროა ცენტრისათვის შესყიდული იქნას ტეტრას სისტემის სადისპეტჩერო კონსოლები, მანქანისა და ხელის რაციები, სისტემის ლიცენზიები, სერვერები, აქსესუარები და შესაბამისი სიხშირეები.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილ თალაკვაძე